პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით
წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ.
6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ.
მე 4-ზე—40 კ.

158 (1153) | ხუთშაბათი, 30 სექტემბერი 1926 წ. | (1153) 158

## სალამი ახალ ცვლას!

ხვალ 1-ლ ოქტომბრიდან მთელს საქართველოში დაიწყება 1904 წელში დაბადებულ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის წითელ ჯარში გაწვევა.

გაწვევა—დიდი მნიშვნელობის მომენტია წითელი ჯარის ცხოვრებაში. და ის, ვინც დღეს მიდის ჯარის რიგებში, მოვალეა ერთი წუთითაც არ დაივიწყოს რა პირობებში ხდება ეს გაწვევა, ე. ი. გაითვალისწინოს საბჭოთა კავშირის დღევანდელი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრები—კაპიტალისტური სახელმწიფოები კვლავ განაგრძობენ მტრულ პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ. რაც დღე გადის მით უფრო და უფრო იზრდება მათი სიძულვილი ჩვენს მიმართ.

საბჭოთა კავშირის ზრდა და წინსვლა მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ყაჩაღებს.

რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება ჩინეთში, მუშათა მღელვარებები ევროპაში—ყოველივე ეს არყევენ. კაპიტალისტურ წესწყობილების საფუძვლებს და დასამარებით ემუქრებიან ბურჟუაზიულ სამეფოს.

კაპიტალისტური კლასი მიმართავს საშინელ რეპრესიებს, ის შეუბრალებლად, სასტიკად დევნის რევოლიუციონერებს, ანადგურებს მუშათა კლასის ორგანიზაციებს. ამავე დროს ათასგვარ ხრიკებსა და დაბრკოლებებს უწყობს მსოფლიო პროლეტარიატის ერთგულ მეგობარს—საბჭოთა კავშირს.

ამასთანავე იზრდება წინააღმდეგობანი თვით კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის. ყოველივე ეს იწვევს შეიარაღების არაჩვეულებრივ ზრდას და სამხედრო ტეხნიკის განვითარებას.

კაპიტალისტური მსოფლიო გამალებით ემზადება ახალი სისხლის ღვრისათვის.

პირველი ქვეყანა, რომელსაც ის დაუპირდაპირებს თავის მახვილს იქნება საბჭოთა კავშირი. ეს არ უნდა დაივიწყოს საბჭოთა კავშირის არცერთმა მშრომელმა; არ უნდა დაივიწყოს ეს ჭეშმარიტება არც ახალ წვეულმაც.

**ამიტომ დღეს, როგორც არასოდეს, მსოფლიო ბურჟუაზიას უნდა უჩვენოთ ჩვენი ძალა და სიმტკიცე.**

1904 წლის ახალწვეულმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მზადყოფნისაგან, ჩვენი წითელი არმიის ძლიერებისაგან დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიანი შრომა და წინსვლა სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

რით შეუძლია წვეულს გამოიჩინოს თავისი მზადყოფნა, თავისი ძალა და რით შეუძლია მას ხელი შეუწყოს წითელი არმიის რიგების გამაგრებას?

ჯარში გაწვევისას თავის დროზე გამოცხადდეს გასაწვევ წერტზე, რაც ხელს შეუწყობს მიმღებ კომისიების ნორმალურ მუშაობას და მთელ გაწვევის ნაყოფიერად ჩატარებას. არც ერთი შემთხვევა დეზერტირობის, თავაშვებულობისა და ლოთობის! ყველანი შეგნებულად, მწყობრად უნდა გამოცხადდენ გაწვევაზე და მით ამ თავითვე უნდა გამოიჩინონ დისციპლინიანობა, წესრიგი და შეგნება, რაც ახასიათებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყოველივე მებრძოლს.

წითელი ყაზარმა ელის ახალ ცვლას!

1904 წლიანებო, როგორც ერთი, გაეშურეთ წითელი ჯარის რიგებში!

მხურვალე სალამი ჩვენს ახალწვეულებს!

გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას წითელი არმიის რიგების გაფოლადებას და გასალკლდევების საქმეში!

## მტერი ემზადება—წითელ არმიელო, ფხიზლად სადარაჯოზე

რაც დღე გადის, მით უფრო და უფრო იზრდება თავდასხმის საფრთხე კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრიდან საბჭოთა კავშირზე. ბურჟუაზია გამალებით ემზადება ჩვენს წინააღმდეგ საომრად. ამას მოწმობს თუნდაც ის სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო ამ მოკლე ხანში სხვა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ასე, მაგალითად, ამ უკანასკნელად დაიდო ხელშეკრულებები სამხედრო კავშირის შესახებ პოლონეთსა და რუმინეთს შორის, საფრანგეთსა და რუმინეთს შორის, იტალიასა და რუმინეთს შორის.

ყველა ეს ხელშეკრულებები პირველ ყოვლისა და უმთავრესად მიმართული არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათში გათვალისწინებულია ჩვენზე გალაშქრების მთელი გეგმა.

მაგალითად, პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულებაში დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ რამდენი ჯარი უნდა გადმოისხას პოლონეთის საზღვარზე რუმინეთმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და როგორ უნდა იმოქმედოს ამ ჯარმა.

უფრო სხვა ხასიათისაა იტალია—რუმინეთის ხელშეკრულების ტექსტი, მაგრამ საფუძვლად მას იგივე—საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის მიზანი უდევს.

პირველ შეხედვით თითქოს იტალია—რუმინეთის ხელშეკრულება არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ჩვენთვის. მაგალითად იტალიამ უარი სთქვა ბესარაბიის რუმინეთის საკუთრებად ცნობაზე. მაგრამ როგორც გამოირკვა იტალიამ ეს ჩაიდინა ჩვენი თვალის ასახვევად. ნამდვილად კი ის დაპირდა რუმინეთს, რომ იცნობს ბესარაბიას მის საკუთრებად კოტა ხნის შემდეგ. ისმება საკითხი, რატომ ეხლა არ უნდა იტალიას იცნოს ბესარაბია რუმინეთის ტერიტორიის ნაწილად? იმიტომ, რომ იტალია დაინტერესებულია ჩვენთან ვაჭრობით, ჩვენგან ის ყიდულობს ნავთს, რომელიც დიდათ საჭიროა მის მრეწველობისათვის, და აგრეთვე სხვა ნედლეულობას. იტალიის მრეწველობა ამ მად განიცდის განვითარების ხანას. მას ესაჭიროება ნედლეულობა და ბაზარი. ამიტომ ასეთ მომენტში ის ვერ გასწყვეტს კავშირს საბჭოთა კავშირთან. მაგრამ მეორეს მხრივ ისიც ემზადება ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგალითად, იმავე იტალია—რუმინეთის ხელშეკრულების ძალით იტალია სესხის სახით აწვდის რუმინეთს დიდძალ სამხედრო იარაღსა—შაშხანებს, არტილერიას, ვაზნებს, ყუმბარებსა და სხვა.

აი როგორ ემზადება კაპიტალისტური მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყოველივე ეს გვავალებს ჩვენ მეტის სიფხიზლით უთვალთვალოთ მტრის მოქმედებას, ერთი ორად გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა წითელი არმიის რიგების განმტკიცებისა და მისი საბრძოლო უნარის აწევის საქმეში. დეე იცოდეს მტერმა, რომ ჩვენც არ გვძინავს. მაშინ ის ნაკლებად გაბედავს ჩვენზე გალაშქრებას.

წითელ მებრძოლნო, ფხიზლად მუშურ-გლეხური ქვეყნის სადარაჯოზე!

—ე.

## ჩინეთის ფრონტებზე

ინგლისი ეხმარება სუნ-ჩუან-ფანს. უ-პეი-ფუს არმია დაიშალა—გაიქცა. ფინ-იუ-სიანი ისევ ჩაუდგა სათავეში სახალხო არმიას. კანტონის არმია შეუდგა დაკავებულ ადგილებში პოლიტინსტრუქტორების დანიშვნას და ხალხის მომზადებას.

## სუნ-ჩუან-ფანი მილიონებს ღებულობს

იაპონიის პრესის ცნობით, ინგლისმა მისცა სუნ-ჩუან-ფანს 5 მილიონი დოლარი და როგორც სჩანს კანტონის წინააღმდეგ მებრძოლ გენერალს შემდეგშიაც მისცემს სამხედრო ესხს.

## უ-პეი-ფუ საბოლოოდ დამარცხდა

ინგლისის ერთ ერთ ბურჟუაზიული გაზეთის ჩინელ კორესპონდენტის ცნობით, უ-პეი-ფუს არმია დაიშალა. კორესპონდენტის აზრით უ-პეი-ფუ აღარ წარმოადგენს მიმდინარე ბრძოლებში ანგარიშ გასაწევ ძალას.

## ფინ-იუ-სიანი სახალხო არმიას მეთაურობს

ჩინეთის პრესის ცნობით სახალხო არმიის შემქმნელი მარშალი ფინ იუ-სიანი სათავეში ჩაუდგა 1-ლ სახალხო არმიას და მიიწევს წინ კანტონის არმიასთან შესაერთებლად.

## გომინდანის მოწოდება

გომინდანის პარტიის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება, პარტიის პოლიტიკის შესახებ ჩინეთის ეროვნულ მოძრაობის დარგში.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ აღმასკომი მისდევს რა სუნ-იატ-სენის მოძღვრებას, ყოველგვარ ღონეს ხმარობს ქვეყნის გაერთიანებისა და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ ჩრდილოეთის ექსპედიციის წარმატებით დამთავრების, ჩინეთის ეროვნულ კრების მოწვევისა და სახელმწიფოს რეორგანიზაციის შემდეგ.

## ინგლისის მუშების ბრძოლა

### მემაღაროელთა ბელადები უკან იხევენ.

### კუკის განცხადება.

სამთამადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუკიმ განაცხადა:

შეტაკება ინგლისის ნახშირის მრეწველთა შეიძლება მოწყვეტილი იქნეს მხოლოდ საერთო ინგლისის მასშტაბით მომხდარ შეთანხმებით.

თუ ჩვენ გვ ქვს შესაძლებლობა დავ ხიოთ უკან და წავიდეთ დათმობებზე, ეს უნდა მოხდეს მწყობრად—დისციპლინით.

ჩვენ იძულებული ვართ წავიდეთ დათმობაზე არა იმიტომ, რომ ეს მიგვაჩნდეს საქმის გადამჭრელ საშვალებად; არა,— ჩვენ გვაიძულებენ დათმობაზე წასვლას და უნდა დავთანხმდეთ.

## მოღალატე—ხოჯესი.

კუკმა განაცხადა, რომ ხოჯესი მთამადნელ მუშების მოღალატეა. მან ჩააწვეთა მთავრობას ყურში 8 საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ.

ხოჯესი—მთამადნელ მუშათა საერთაშორისო კავშირის მდივანია.

## პილსუდსკი პოლონეთის თვითმპყრობელია.

### პარლამენტს დასცინის.

პოლონეთის სეიმმა (პარლამენტი) ამ რამოდენიმე დღის წინად უნდობლობა გამოუცხადა ბარტელის კაბინეთის ზოგიერთ მინისტრებს. ამის გამო ბარტელმა ითხოვა გადადგომა, როგორც ამას მოითხოვს საპარლამენტო ჩვეულება.

მაგრამ როდესაც ბარტელმა განუცხადა თავისი გადადგომის შესახებ პილსუდსკის, რომელიც ფორმალურად „მარტო“ სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებს, მას სიცილი აუტყდა და იგივე ბარტელი დანიშნა მთავრობის თავმჯდომარედ.

## ჯალათების ბულგარეთში.

### ხვრეტენ მუშებს.

ბუქარესტში (ბულგარია) დამთავრდა 26 მუშისა და გლეხის პროცესი, რომელთაც წაყენებული ჰქონდათ ბრალდება პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობის შესახებ. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 7 ბრალდებულს, ხოლო 17 სამუდამო ციხე მიუსაჯა.

## ერთა ლიგის სესიის დახურვა.

28 სექტემბერს დაიხურა ერთა ლიგის სესია, რომელმაც დაადგინა მოიწვიოს განიარაღების კონფერენცია ლიგის შემდეგი პლენუმის გახსნამდე, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნა.

## საქართველოში.

### გზის გაყვანა სვანეთში.

სვანეთის აღმასკომი შეუდგა ახალი გზის გაყვანას ს. ბეჩოდან ს. ხუმერამდე. გზის გასაყვანათ ყოველდღიურად მუშაობს 50 კაცი.

გზაზე მუშაობა დაიწყო 10 სექტემბერს და დამთავრდება 10 ოქტომბერს.

ამ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სვანეთისათვის, ვინაიდან ის გაივლის სვანეთის შუაგულზე და დააკავშირებს ზემო და ქვემო სვანეთს.

### მინდვრების მორწყვისა და ჭაობების ამოშრობისათვის მუშაობა.

საქართველოში განზრახულია 5 წლის განმავლობაში მოირწყას და ამოშრობილი იქნეს შემდეგი ადგილებ.: სოღანლუღის ველი 400 დეს., ნავთლუღის ველი—5 ათასი დეს., აშური ნის ხევი—3 ათასი დეს., ტაპარავან ჩაის მიდამოები—15,000 დეს., ფოთის ჭაობები—40.000 დეს. და სხვა ველები 20.000 დეს. სივრცით.

### ახალი სახელოსნოები.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებას. ამ მხრივ საქართველო მძიმე მდგომარეობაშია. ყველა მანქანების 50 პროცენტი უმოძრაოდ არის შეუკეთებლობის გამო. ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით, სავეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო ახალი სახელოსნოების მოწყობა სიღნაღის, გორის და თელავის მაზრებში. თითო სახელოსნოს მოწყობა დაჯდება 7,500 მანეთი.

### სადგ. მუხიან—მამისონის უღელტეხილი—კავკავის—რკინის გზა.

აღნიშნული რკინის გზის გაყვანად უკვე შედგა სააქციო საზოგადოება. საზოგადოება გამოსცემს აქციებს და მისი გაყიდვიდან შემოსულ ფულით იწარმოებს გზის გაყვანა. ეს გზა როგორც განზრახულია დაიწყება სად. მუხიანიდან და ოსეთის სამხედრო გზით (როკალეჩხუმი) და მამისონის უღელტეხილით შეუერთდება კავკავს.

### ძველი ბიბლიოთეკა.

ტფილისის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დათვალიერების დროს ერთ-ერთ სარდაფში აღმოაჩინეს ძველი ბიბლიოთეკა, რომელიც ეკუთვნის XVIII საუკუნეს. ბიბლიოთეკა შესდგება უცხო ენებზე დაწერილ მეცნიერული წიგნებიდან. სულ აღმოჩენილი იქნა 432 წიგნი, რომელიც გადაეცა სახელმწიფო ქართულ უნივერსიტეტს.

# ᲐᲛᲮ. ᲑᲣᲓᲘᲝᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

28 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცხენოსან ნაწილების ინსპექტორი, ამხ. ს. ბ უ დ ი ო ნ ი.

ამხ. ბუდიონი დაათვალიერებს კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ცხენოსან ნაწილებს.

წითელ ცხენოსან ჯარის მნიშვნელობის შესახებ მან განაცხადა: ავიაციისა და ქიმიის გვერდით პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ცხენოსან ნაწილებს.

თუ წინეთ ცხენოსანი ჯარი მხოლოდ ფეხოსან ჯარის დამხმარე და ხელის შემწყობ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც ბრძოლა უნდა დაემთავრებია, როდესაც მოწინააღმდეგე დამარცხდებოდა, ამ ჟამად გაუმჯობესებულ ტეხნიკასთან დაკავშირებით ცხენოსან ჯარს შეუძლია დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციები მოახდინოს. ეს აზრი დასავლეთ ევროპის სამხედრო სპეციალისტებშიც შეიჭრა და ეხლა თითქმის საერთოდ მიღებულია.

ცხენოსანი ჯარის შესახებ ორგვარი აზრი არსებობდა: მსოფლიო ომის შემდეგ 1922 წლამდე დასავლეთ ევროპის სამხედრო საქმეთა სპეციალისტები გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ საჰაერო და ქიმიური ძალები სავსებით სპობს ცხენოსან ჯარის მნიშვნელობას მომავალ ომებში.

ჩვენ კი ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა წარსულთან შედარებით კიდევ მეტათ გაიზარდა.

ჩვენი წითელი ცხენოსანი ჯარი სავსებით მომზადებულია თავ-



დაცვისათვის და მისი ბრძოლის უნარიახობა კიდევ მეტად ამაღლდება ახალი ძალების მომზადებით, როგორც არის 1904 წლის ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა. ყველა ამის შემდეგ ის, ვინც შეეცდება მშრომელთა მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობისათვის ხელის შეშლას, მიიღებს ღირსეულ პასუხსო განაცხადა ამხ. ბუდიონმა.

# ᲒᲐᲕᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲗ ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ".

### ᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ.

წითელ-არმიელების აღზრდისა და განვითარების საქმეში გაზ. „წითელ-არმიელი" უდიდეს როლს თამაშობს. ის წითელ-არმიელების ორგანოა და მისი არსებობა თვით წითელ-არმიელებზე არის დამოკიდებული. ნაწილებში „წითელ-არმიელის" პირველ მეგობრებათ სამხკორები ითვლებიან. რამდენად ახლოა სამხკორთა მასა გაზეთთან და რამდენად ისინი როგორც ერთი, შემოკრებილი არიან მის გარშემო, იმდენად კარგად მიდის გაზეთის საქმე, როგორც მატერიალურად, ისე სხვა მხრივ.

მისი პირველი გამავრცელებელი ჩვენ უნდა ვიყოთ წითელ-არმიელთა ფართო მასებში და სოფლად დაბრუნების შემდეგ კი — გლეხობაში. რასაც მეტს გავავრცელებთ გაზეთს, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება მისი არსებობა და მეორე მხრივ მით უფრო დიდ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი სოფლის გასამხედროებისათვის, რადგან მხოლოდ გაზ. „წითელ-არმიელი" ემსახურება საუკეთესოდ ამ საქმეს.

უნდა ვსთქვათ, რომ გაზეთის გავრცელების საქმეს აქამდე ვერ ვემსახურებით მისი სამხკორები ისე, როგორც ეს აუცილებელი და საჭიროა და ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

საჭიროა თვითონ ჩვენ სამხკორებმა შევქმნათ ნაწილში ისეთი სურათი, რომ წარმატებით ჩატარდეს კოლექტიური და ინდივიდუალური ხელის მოწერა გაზეთზე, ხოლო სოფლად მიმავალი ცვალებადელი სამხკორები კი უნდა შეეცადონ იქ ასევე იმუშაონ გლეხთა შორის. ამით ხელს შეუწყობთ ჩვენი გაზეთის გამოცემის უზრუნველყოფის საქმეს. აი ჩვენი მოვალეობა.

სამხკორი მამ ლაძე

# ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

წითელ-არმიელთა კონფერენციებზე საუკეთესო გამოხატულებას ჰპოებს წითელ-არმიელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდა. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ექცევა ამ კონფერენციების მუშაობას სამხედრო პარტიულ ორგანიზაციების მიერ.

საბანაკო პერიოდის შემდეგ, 1-ლ ქართულ დივიზიაში ჩატარდა წითელ-არმიელთა კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში მთავარ საკითხად იდგა თვით წითელ-არმიელების მოხსენებები საზაფხულო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობაზე.

კონფერენციის დელეგატების შემადგენლობაში პარტიულ მიმართულების მიხედვით იყვნენ: კომუნისტები—29 პროც.; ახკომკავშირის წევრნი—25 პროც. და უპარტიონი 46 პროც.

წარსულ კონფერენციის შემადგენლობასთან შედარებით იმატა კომუნისტთა რიცხვმა, რაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა აიხსნას პარტიის ავტორიტეტის ზრდით წითელ-არმიელთა ფართო მასების თვალში.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებიდან კონფერენციის მონაწილენი დიდ ინტერესს იჩენდენ ჩვენი და კაპიტალისტური ქვეყნებთან ურთიერთ დამოკიდებულებისადმი, ინგლისის მუშების გაფიცვის, საერთაშორისო რევოლიუციის დაჩქარების და სხვათა მიმართ.

არა ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდენ ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მუშების მდგომარეობას, როგორც სახელმწიფო წარმოებებში ისე კერძო დაქირავებულთა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად კონფერენციაზე აღმოჩნდა საკითხი, გრძელვადიან შვებულებაში დათხოვნასთან დაკავშირებული. კონფერენციის დელეგატთა გლეხების შემადგენლობიდან მხოლოდ 40 პროც. გამოსთქვა სურვილი სოფელში დაბრუნებისა, რაც მაჩვენებელია გლეხობის დიდი ლტოლვისა ქალაქისაკენ. წითელ არმიელთა დიდი ნაწილი კონფერენციაზე კითხულობდა სამოქალაქო სასწავლებლებში შესვლის პირობების შესახებ, სოფლად კულტურულ მუშაობის და აგრეთვე მოსახლეობის გასამხედროების ირგვლივ ჩასატარებელ მუშაობის შესახებ. ის მრავალი შეკითხვები, რომელიც შეტანილი იქნა კონფერენციაზე წითელ-არმიაში სამსახურის გავლის წესის და ვადის შესახებ და აგრეთვე სხვა საკითხებზე, ნათელ ჰყოფენ იმას, რომ ცნობათა მუშაობა ნაწილებში არ სდგას სათანადო სიმაღლეზე და ვერ აკმაყოფილებს წითელ არმიელთა მასის მოთხოვნილებებს, ეს გარემოება აღნიშნულ იქნა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციებშიც.

კონფერენციის მიერ გამოთქმული იქნა აგრეთვე სურვილი, რათა შესწავლილ იქნას საკითხი წითელ-არმიელებიდან, ჯგუფის ხელმძღვანელის მუშაობის შესახებ, ვინაიდან მათ უხდებათ სამხედრო სამსახურის ყველა მოთხოვნილებების შესრულებასთან ერთად პოლიტ მეცადინეობისათვის მზადება.

სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ კონფერენციამ სცნო მიზანშეწონილად, რათა ამაღლებულ იქნას ამ მუშაობის ხარისხი, მრავალ რიცხოვან წრეების შეცირების გზით და აგრეთვე შეცვლილ იქნას ზოგიერთი წრეების მუშაობის შინაარსი. კერძოთ დრამატიულ წრეებში დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, კონფერენციის აზრით, „სიყვარულის" შინაარსზე პიესების დადგმა, რის ნაცვლად უნდა იდგმებოდეს რევოლიუციონური ხასიათის წარმოდგენები.

კონფერენციაზე იქნა მიღებული მთელი რიგი დადგენილებებისა პოლიტიკურ და სამხედრო საქმის დაყენების გაუმჯობესებისათვის. ჩვენ პარტიულ ორგანიზაციის და პოლიტიკურ მომუშავეთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, რათა ეს გადაწყვეტილებანი სავსებით იქნენ გატარებული ცხოვრებაში.

ი. რუდოვსკი.

# ᲠᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ჩინეთის ამბები ისევ საყოველთაო ყურადღების ცენტრში სდგას. სხვა და სხვა კლასების ინტერესების გამომხატველი ჯგუფების ბრძოლა ისევ გაჩაღდა. როგორი ძალები იბრძვიან ჩინეთში?

### ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ჩინეთი ერთი უდიდესი სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში — 400 მილიონი მოსახლეობით. ჩინეთის მოსახლეობის რიცხვის გამოანგარიშება ძლიერ ძნელია. ერთ მთლიანს გაერთიანებულ სახელმწიფოს ის არ წარმოადგენს. ცენტრალური მთავრობა, რომელიც პეკინში იმყოფება, ფაქტიურად არავითარი ხელისუფლების მატარებელი არაა. რომ გაუმკლავდეს უცხოეთის ძალებს, ჩინეთს ამის შესაძლებლობა არა აქვს და ამიტომაა, რომ უცხოელები—განსაკუთრებით ინგლისელები და იაპონელები ისე გრძნობენ იქ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

განუწყვეტლად სწარმოებს სხვა და სხვა ჯგუფებს შორის ბრძოლა, რომლებიც ჩვეულებრივად სხვა და სხვა უცხოელ სახელმწიფოების ზურგს ეფარებიან. ამ ჟამად ასეთი ჯგუფები ჩინეთში ხუთია: ჩან-ძო-ლინი, უ-პეი-ფუ, სუნ-ჩუან-ფანი, სახალხო და კანტონის სახალხო რევოლიუციონური არმიები.

### ᲩᲐᲜ ᲫᲝ ᲚᲘᲜᲘ

ჩან-ძო-ლინს თავისი მოქმედების ბაზად აქვს მანჯურია. მანჯურიის მეურნეობის საფუძვლად ითვლება სავაჭრო მიწად მოქმედება. თვით ჩან-ძო-ლინი უდიდესი მემამულე და ვაჭარია. ვაჭრობა სწარმოებს უმთავრესად იაპონიასთან. იაპონელების ხელშია სამხრეთ მანჩჟურიის რკინის გზა, ყველა ბანკები და გასაგებია, რომ თვით ჩან-ძო-ლინი ერთგული მონაა იაპონელების.

ჩან-ძო-ლინის მთავარი მიზანია მთელი ჩინეთის დაკავება იაპონელებისათვის, ხოლო თვითონ კი რაც შეიძლება მეტი ძარცვოს.

### Უ-ᲞᲔᲘ-ᲤᲣ

უ-პეი-ფუ სხვა ჯურის გენერალია. მისი ბაზაა—ცენტრალური ჩინეთი, სადაც თავმოყრილია ჩინეთის მსხვილი სამრეწველო ქარხნები. თუ ჩან-ძო-ლინი, ღებულობს ფულს იაპონიიდან, უ-პეი-ფუ ღებულობდა ასეთს ხანკოუს სავაჭრო-სამრეწველო პალატისაგან. მას მხარს უჭერს ინგლისის კაპიტალთან კავშირში მყოფი ნაციონალური სამრეწველო ბურჟუაზია.

ის განსაკუთრებით მტრულად არის განწყობილი იაპონელების მიმართ, რადგან სწორედ იაპონიის მრეწველები წარმოადგენენ ამ ჟამად უდიდეს საფრთხეს ახალგაზრდა, მოზარდ ჩინეთის ბურჟუაზიისათვის.

ინგლისი მოხერხებულად იყენებს უ პეი-ფუს, როგორც იაპონიის გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე სახალხო რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთში, რომელიც მიმართულია შავრაზმელ გენერლებისა და უცხოელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

### ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ.

კანტონელების მოძრაობას ხელმძღვანელობს სახალხო-რევოლიუციონური პარტია—გომინდანი. მისი ბაზაა—გუანდუნის სამხრეთი მხარე ქალაქ კანტონით. კანტონის მთავრობა ემყარება მუშებს, გლეხებს, წვრილ ხელოსნებს და ვაჭრებს.

კანტონელებს ყავთ ძლიერი—მტკიცე არმია, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული მოსახლეობასთან. კანტონში დიდი გავლენით სარგებლობენ კომუნისტები.

### ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲐ.

ჩრდილოეთ ჩინეთში ფეხმოკიდებულია მეორე რევოლიუციონური ჯგუფი—სახალხო არმია ანუ გომინდზიუნი. 1924 წლამდე ის შედიოდა უ პეი-ფუს არმიის შემადგენლობაში. მისი სარდალი ფინ-იუ-სიანი, გამოეყო უ-პეი-ფუს და განაცხადა, რომ ის ისახავს მიზნათ ჩინეთის ეროვნულ განთავისუფლებას. სახალხო არმია თანდათან ეწყობა კანტონის არმიის მზგავსად და წარმოადგენს რევოლიუციონურ ძალას.

მისი ბაზაა—დასავლეთ ჩინეთის ოლქები; რადგანაც ეს ოლქები ძლიერ ღარიბი ოლქებია და არ ძალუძთ არმიის შენახვა, სახალხო არმიამ უკანასკნელ თვეში დაიხია დასავლეთისაკენ და პირი იბრუნა სამხრეთის მიმართულებით კანტონის არმიასთან შესაერთებლად.

### ᲡᲣᲜ ᲩᲣᲐᲜ-ᲤᲐᲜᲘ.

დასასრულ მეხუთე ჯგუფს მეთაურობს—სუნ-ჩუან-ფანი. ეს უ-პეი ფუს არმიის ყოფილი დივიზიის უფროსია. მან ნელ-ნელა შესძლო ჩინეთის 5 სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ოლქები აეღო და გამოაცხადა თავი უ-პეი-ფუსაგან დამოუკიდებლად.

ამ ჟამად ძნელია თქმა, თუ რომელი იმპერიალისტური სახელმწიფო სდგას სუნ-ჩუან-ფანის ზურგს უკან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ის იმყოფება შანხაისა და მდინარე იან-ცზიცზიანის რაიონში, სადაც ინგლისის ინტერესებია გავრცელებული, ცხადია სუნი ინგლისის ბანაკში ამოყოფს თავს. სუნ-ჩუან-ფანი მტრულად არის განწყობილი კანტონელებსა და სახალხო არმიის მიმართ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲮᲐᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კვირას 26 სექტემბერს მესანგრე ასეულის კლუბის დარბაზში შესდგა თბილისის გარნიზონში მყოფ ქართულ ნაწილების კომუნისტების საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე მ ს.კ.პ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შედეგებზე.

ამხ. ფილიპე თავის 2 ნახ. საათიან მოხსენებაში ვრცლად შეეხო ივლისის პლენუმის მუშაობას და დაწვრილებით გაარჩია ახალი ოპოზიციის პლატფორმა. მოხსენების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა მოცემულ შეკითხვებზე. დასასრულ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია.

## ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲛᲮ. ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მოვისმინეთ რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის შედეგებზე, თბილისის გარნიზონის ქართული ნაწილების კომუნისტების საერთო კრება მთლიანათ იწონებს ცეკას დადგენილებებს და სრულებით უერთდება მათ; კრება აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა ადგა სწორ ბოლშევიკურ-ლენინურ ხაზს.

როგორც დღემდი, ისე დღეს პარტიის პოლიტიკური ხაზი მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისაკენ. პარტია ცეკას ხელმძღვანელობით ატარებს ურყევ ბოლშევიკურ ხაზს, როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში. მუშურ-გლეხური კავშირის განმტკიცება- ძირითადი ამოცანაა ჩვენი პარტიისა, მტკიცეთ და შეუდრეკლათ ტარდება ცენტრალურ კომიტეტის მიერ. ამ დროს პარტიის სწორი პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს ახალი ოპოზიცია, რომელიც წარმოადგენს სხვა და სხვა ჯგუფების ბლოკს, ურჩევს პარტიას ლენინურ გზიდან გადახვევას, რაც მოასწავებს პროლეტარულ დიქტატურის დამარცხებას.

ახალი ოპოზიციის იერიში საბჭოების გამოცოცხლების წინააღმდეგ მაჩვენებელია ამ ოპოზიციის არა ბოლშევიკური ბუნების. ის მოუხმობს პარტიას უკან სამხედრო კომუნიზმისაკენ, რაც ნიშნავს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლიკვიდაციას. ჩვენი რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია, ოპოზიციის აზრით უნდა გატარდეს გლეხობის ძირითადი მასების ხარჯზე. ქვეყნის სოციალური განვითარება—გლეხური მეურნეობის ექსპლოატაციის საშუალებით, ეს მთავარი დებულება საუკეთესო დამამტკიცებელია პოზიციის მიერ მუშურ-გლეხური კავშირის მნიშვნელობის არ გაგებისა.

ახალი ოპოზიცია ილაშქრებს საბჭოების გამოცოცხლების წინააღმდეგ, ურჩევს პარტიას ინდუსტრიალიზაცია და საზოგადოთ სოციალისტური აღმშენებლობა ატაროს გლეხური მეურნეობის ხარჯზე, მას ეჭვები ეპარება ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარულ ბუნებაში. ყველა ეს მაჩვენებელია იმისი, რომ ოპოზიციონურ ბლოკს იმედები დაეკარგა ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებაში. იმედდაკარგულობა ბადებს ახალი ოპოზიციის ლტოლვას ოქტომბრის მონაპოვართა ლიკვიდაციისაკენ. ეს ლტოლვა გამოიხატა იმ საკითხებში, რომლებიც წამოაყენა ოპოზიციამ პარტიულ მშენებლობის დარგში.

ახალი ოპოზიციონური ბლოკი მოითხოვს ჩვენს პარტიაში სხვა და სხვა ჯგუფების არსებობის თავისუფლებას. ის მიისწრაფვის ჩამოაყალიბოს ფრაქცია, რაც ნიშნავს პარტიის მთლიანობის დარღვევას, და ეს კი მოასწავებს პროლეტარულ სახელმწიფოს დაღუპვას. ამიტომ კრება გმობს ახალ ოპოზიციას, როგორც ანტიპარტიულ მოვლენას. პარტიის მთლიანობას საფრთხეს უმზადებს ოპოზიციის ფრაქციული მოღვაწეობა.

კრება უწმინდეს მოვალეობათ სთვლის სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ამ მოვლენას და ძირშივე მოსპოს პარტიის დაგრევისაკენ მიმართული ყოველივე ცდა.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს

ძირს ფრაქციონერები!

# ᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲤ. ᲛᲣᲨᲔᲑᲡ

### 1-ლი მესანგრე ასეული.

ამ რამდენიმე დღის წინად შესდგა ასეულის უჯრედის გაფართოებული კრება, რომელსაც დაესწრო პოლიტგანის რწმუნებული და დასავ. საქართ. საოლქო სასამართლოს წევრი ამხ. სტუროუა.

კრების დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო აგრეთვე ინგლისის მუშების გაფიცვის შესახებაც, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ჭაავამ. მან დაწვრილებით აღნიშნა ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს მოღალატური საქციელი გაფიცვებისადმი და ის თუ როგორ უყურებს მათ მოქმედებას გაფიცული მაღაროს მუშები. მოხსენება განმარტა ამხ. სტუროუამ. აღნიშნა ინგლისის გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები, მისი კოლონიალური პოლიტიკა და მრავალი სხვა, რამაც ნათელი წარმოდგენა მისცა ამხანაგებს ინგლისის მუშების ცხოვრების შესახებ. მოხსენებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

დასასრულ ერთი წითელ-ლაშქრელის წინადადებით კრებამ ერთხმად დაადგინა გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გადაიდვას თითეული წითელ-არმიელის ჯამაგირიდან 10 კაპ., ათისთავებმა კი 50 კაპ. თითეულმა და უფროს პოლიტშემადგენლობიდან თითო მანეთი.

ვ. შარვაშიძე.

# გაასკეცებულად განაგრძე შეკრებათა შორის მუშაობა

## მომზადებული უბრუნდებიან სოფლებს.

მე-6 ლეგიონი.

…ყაზარმაში მოსვლის პირველ …ეებში, მიუხედავად იმისა, რომ …ნდათ გავლილი სამხედრო სამ…ური ცვალებადელებს მაინც …ყობოდათ, რომ სამხედრო მი…ა-მოხვრასა და ამტანიანობას …ტა გადაჩვეულიყვნენ, რამოდე…ე დღის შემდეგ მათ ვეღარ …ნობდით. ყველაფერი გაიხსენეს ზედმიწევნით კარგადაც შეის…ეს. სიარული, იარაღის ხმა…ბა, სხვა და სხვა ამოცანების …რულება, დისციპლინა და სხვა. …ამად კი ძველ წითელარმიე…ბსაც არ ჩამოუვარდებიან სამ…რო საქმის ცოდნაში.

…ასევე არაჩვეულებრივი სისწრა…თ ითვისებდენ ცვალებადელები …ლიტსაათებსაც. …საღამოობით სისტემატიურად …მდინარეობდა ბირთვების მეცა…ნეობა. სამხედრო და პოლიტ…უფების ხელმძღვანელები თით…ს სისტემატიურად უყრიდენ …ვს აქტიურ ცვალებადელებს და …თად ამუშავებდენ სხვა და სხვა …მებს ცვალებადელთა ფართო …აში გადასატანად. ლენინის …ეები სავსე იყო ყოველ საღა…ობით ცვალებადელ წითელ-არმიელებით და გულმოდგინეთ ეკიდებოდენ თვითგანვითარების საქმეს.

ლეგიონი თითქმის ყოველთვის ველში იმყოფებოდა და წარმატებით აწარმოებდა ტაქტიკურ მეცადინეობას. იშვიათი დაინტერესებით ეკიდებოდენ ცვალებადელები ყველა დავალებებს და ზედმიწევნით ითვისებდენ ველში მოქმედების თვისებებს.

თითეული მეცადინეობის შემდეგ ირჩეოდა თუ როგორი შეცდომები იყო დაშვებული, ან მიღწევები მოქმედებაში, რასაც ვითვალისწინებდით მომავალი მეცადინეობისათვის.

უსრულდებათ კიდევაც ერთი თვე, რომ ისინი ყაზარმაში არიან და ემზადებიან. მთელი ამ მცირე ხნის განმავლობაში საუკეთესოდ იქნა შესრულებული ყველა დავალებები. ცვალებადელებმა მიიღეს როგორც სამხედრო გაწვრთნა, ისე პოლიტიკური მომზადებაც, რომლებსაც ისინი ნაყოფიერად გამოიყენებენ სოფლად დაბრუნების შემდეგ.

შ. ა—ლი.

## მეორე შეკრების თავზე

სკოლის გა ეშე მუშაობა მე-2 არტლეგიონში

…ყე სრულდება პირველი …კრებიდან ორი წლის თავი. …რი წლის გამოცდილებებ… …ველ შეკრებას გამოცდილებთან ერთად საფუძვლად …ება მომავალ შეკრებებს, როგორც თავდებია მომავალი შეკრებების ნაყოფიერად ჩატარება ყოველ დარგში.

…სკოლის გარეშე მუშაობა …თ-თვიან შეკრების დროს შე…ლო თავის ამოცანების შესრულება და მუშაობა შეთავსებულ…ნა იმ მოკლე დროსთან …მელიც ჩვენ ხელთ იყო.

…ცენტრი სკოლის გარეშე მუშაობის გადატანილი იქნა …იურ და ლენ-კარვების მუშაობაზე; სწორეთ მუშაობა კი მოკლე ხანის განმავლობაში …მ დაყრდნობილი ძირითადი …წრეების გაშლაზე არ იყო …ანადო დრო და არც მიზანშეწონილი იქნებოდა. მთავარი …როლება ამ დარგში მიექცა …თ წრეების ჩამოყალიბებას …ელზედაც უშვილოთ უნდა …ყრდნობილიყო კლუბის მასიური მუშაობა (…ომლეგალთა, …ამატიულთა, საჭყორთა, მუ…ალური წრეები). წარსულმა შეკრებამ მოგვცა ბირთვების მუშაობისა გაკვეთილი ლენკარვებში; რომელსაც თვით შეკრების დროს ექნებოდა მთავარი ყურადღება კითხვა პასუხის საღამოობით, საუბრები, პირთვის მიღრდამუშავებული საკითხების მასაში გადატანა და სხვა-ეს იყო მთავარი მუშაობა ლენ-კარვისა. მასიური მუშაობა გაიშალა შემდეგ ფორმებში: კინო, წარმოდგენები, თვითმოქმედების საღამოები, ლექციები და სხვა.

გასული წლის შეკრებამ წიგნების პროპაგანდის დარგში გამოირკვა თუ რამდენი სარგებლობა მოაქვს წიგნის დამატარებლობს მეთოდს, რომელიც მასთანვე ერთ-თვიან შეკრების დროს ფართოდ იქნა გამოყენებული საბიბლიოთეკო მუშაობისას წიგნების პროპაგანდის საქმეში. შეკრების ორი წლის თავზე სრული საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ მომავალი შეკრებები მეტი გამოცდილებით, მეტი ენერგიით ნაყოფიერად ჩატარდება.

გ. შ—ლია.

## ცვალებადელები ენერგიულად სწავლობენ

მე 4 ლეგიონის 3 ასეული

…ლეგიონის ცვალებადელები ენერგიულად ეკიდებიან სამხედრო …ის შესწავლას. უკვე კარგად …ცნეს შაშხანა, შეისწავლეს …ლის საქმე, კარგად იცნობენ …ამფრქვევს. რამოდენიმეჯერ …დათ საველე ვარჯიშობა ტყვიამფრქვევით სროლაში.

…ტარებული იქნა ასეულობით, …ულობით და ათეულობით ტაქტიკური სწავლება შეტევისა და …იების დროს. ძლიერ აინტერესებთ აგრეთვე საგარნიზონო დისციპლინარული სამსახურის …ებიდან მეცადინეობა.

…ლიტსაგანმანათლებლო მუშაობა

…ცვალებადელთა შორის დიდ …ერესს იწვევს აგრეთვე პოლიტსაათი, რომელსაც ატარებენ სამხედრო პოლიტსკოლიდან მოვლენილი კურსანტები. ცვალებადელთა მეტი უმრავლესობა ნაყოფიერად ითვისებს პოლიტმეცადინეობას. ასეულში კარგად არის მოწყობილი აგრეთვე ლენინის კუთხე. ის მდიდარია ჟურნალ-გაზეთებითა და საყურადღებო შინაარსის ბროშურებით. ასეულში არ მოიპოვება არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. ასეულში ჩამოყალიბებულია აგრეთვე სხვა და სხვა ბირთვები და წრეები, რომლებშიც მთელი ცვალებადელთა შემადგენლობაა ჩაბმული.

გამოშვებული იქნა კედლის გაზეთიც, ცვალებადელებისავე მონაწილეობით.

ალ. გაგუა.

## რა ვნახე წითელ ყაზარმაში.

მე-2 არტლეგიონის ცვალებადელის შთაბეჭდილება.

სამხედრო ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად წითელი ყაზარმა უხვად იძლევა პოლიტიკურ საზოგადოებრივ და კულტურულად აღზრდა-განვითარებას. ჩამორჩენილი სოფლების ახალგაზრდობა, რომლებიც არ იცნობენ წესიერ საზოგადოებრივ ცხოვრებას, წითელ ყაზარმაში მოსვლის შემდეგ იწყებენ სრულიად ახალ ცხოვრებას და ახალ ზნე-ჩვეულებას იძენენ.

ერთი თვის განმავლობაში ჯარში სამსახურმა სრულიად დამარწმუნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წითელ არმიაში სამსახურს ჩვენი სოფლის ახალგაზრდობისათვის და რამდენად გამართლებულია თვით მუშურ-გლეხური ხელისუფლეზის იმედები ამ მხრივ. ზედმიწევნითაა შესრულებული ის, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს თითეული მშრომელი ვალდებულია იყოს გაწვრთნილი მხედარი და თავისი ქვეყნის ერთგული დარაჯი. ყაზარმაში მისული ახალგაზრდა ყოველმხრივ ითვისებს ამას და შემდეგ კი ის ხდება ამ ლოზუნგის საუკეთესო გამტარებელი სოფლად.

მეორე მხრივ ყაზარმაში ისე ემზადება ახალგაზრდობა, რომ უდიდეს როლს თამაშობს შემდეგ ის სოფლის ჩამორჩენილ გლეხობის გამოღვიძების საქმეში, რადგან ყაზარმაში მას ასწავლიან წერა-კითხვას (თუ არ იცის) ამზადებენ პოლიტიკურად, თეატრი, კინო, სანიტ-განათლება ფიზკულტურა, სამკითხველოები წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით ყოველთვის არის წითელ არმიაში და ყველაფერი ეს ფრიად ხელმისაწვდომია თითეული წითელ-არმიელისათვის.

წითელი არმია იძლევა შეგნებას, თანამედროვე ცხოვრებისათვის სათანადოთ მომზადებულ მოქალაქეს და მხედარს. წითელი არმია ჩვენი თვალების ამხელია. ამიტომ არ უნდა გაუშვას არც ერთმა ახალგაზრდამ ჯარში გაწვევის შემთხვევა და მიაშუროს წითელი ყაზარმისაკენ.

ა. გ—ძე.

## არმიის სარდალი ჩვენთან.

მე 6 ლეგიონი.

22 სექტემბერს საღამოთი, როდესაც ლეგიონის ნაწილები ბრუნდებოდენ საველე მეცადინეობიდან, წინ შემოგვხვდენ არმიის უფროსი ამხ. ლევანდოვსკი და დივიზიის უფროსი. არმიის უფროსი მოგვესალმა ყველას და გამოგვკითხა ლეგიონის თავის საშვალებით, თუ როგორ ვცხოვრობთ ან გვაკლია თუ არა რამე. საუბარმა დიდხანს გასტანა, თითქმის ყველა წითელარმიელებს გამოეკითხა და როდესაც ყველასგან დადებითი პასუხი მიიღო მეტად სიამოვნო.

ჩვენი სარდალის ნახვამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ცვალებადელებზე. დასასრულ სარდალმა მოგვიწოდა გულმოდგინე მუშაობისაკენ და გამოკვეშვიდობა.

პ. ლობილაძე.

## ცვალებადელები ექსკურსიაზე

მე 5 ლეგიონი

ამას წინად ლეგიონის ცვალებადელები წაიყვანეს ადგილობრივ ციხის ნანგრევების დასათვალიერებლად. წინასწარ ეცნობა ამის შესახებ ყველა ასეულებს, რომლებიც შეუდგენ საჭირო სამზადისს. თითეული ნაწილი ჩამოწკრივდა თავისი კარვების წინ. უცდიდენ სამხედრო ორკესტრს. 10 საათზე ორკესტრი უკვე მზად იყო. გაიცა უფროსების მიერ ბრძანება და მუსიკის ხმების ქვეშ მხიარულად გაეშურენ ნანგრევებისაკენ. მხნედ მიაბიჯებდენ ჩვენი ცვალებადელები. ერთი თვე არც კი არის ჯერ რაც ისინი ეცადინეობენ, მაგრამ კადრის წითელ არმიელებს არ ჩამოუვარდებიან. მშვენიერი შესახედი იყო მათი სწორი მწყობრული სიარული.

რამოდენიმე წუთის შემდეგ მიუახლოვდით ციხეს. მცირე ხანი კიდევ და გაიცა უფროსის ბრძანება მწყობრის დაშლის შესახებ. ყველანი შეჯგუფდენ, შემოგროვდენ უფროს მასწავლებლის გარშემო, რომელიც დაწვრილებით უხსნიდა მათ ციხის ისტორიას, ვისი იყო ციხე და როგორი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო ის თავის დროზე. ცვალებადელები ყურადღებით უსმენდენ გათეთრებულ დამსახურებულ მასწავლებელს. მან ვრცლად მოუთხრო მათ ციხის წარსულის შესახებ. ლექციის დამთავრების შემდეგ მრავალმა ცვალებადელმა მისცა შეკითხვა.

დაათვალიერეს ციხე დაწვრილებით, შემდეგ გაიმართა იქვე ცეკვა-თამაში. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი ძლიერ ნასიამოვნები ცვალებადელები სიმღერით მიეშურებოდენ თავიანთ კარვებისაკენ.

ნ. ბრ:მოდიელი.

## ვინახულეთ ისტორიული მუზეუმი

მე-3 ლეგ. სკოლა.

ჩვენი სკოლის შემადგენლობამ ამას წინად ინახულა ადგილობრივი მუზეუმი. მუზეუმის დირექტორმა და თანამშრომლებმა მხიარულად მიგვიღეს. დავიყავით ჯგუფებათ და გვანახეს ყველა ღირსშესანიშნავი საგნები. ვინახულეთ „წმინდა დავით—კონსტანტინეს—მოწამეების“ ნეშთები, რომლითაც ხუცები ატყვიილებდენ ხალხს და ასაღებდენ როგორც გაუხრწნელ გვამებს. უვიცი და მორწმუნე ხალხი მართლა ასეთებათ იღებდა სანთლისაგან და ჰინჰებისაგან გამობერილ ჩონჩხს. „წმინდანების“ ამ ძვლების ნახვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

ამას გარდა მუზეუმის დირექტორმა გვაჩვენა ძველი პრიმიტიული სამეურნეო და სხვა იარაღები, რომლებსაც ხმარობდენ ჩვენი ძველი წინაპრები. ბევრი საყურადღებო საგნები ვნახეთ კიდევ და მივიღეთ დაწვრილებითი ახსნა-განმარტება დირექტორისაგან, რისთვისაც მადლობა გადაუხადეთ მას და ბოლოს გამოვეშურეთ ათასი საუცხოვო შთაბეჭდილებით ჩვენი ყაზარმისაკენ.

როყუა.

# ახალწვეულების მოლოდინში

## მოველით ახალ ცვლას.

1-ლი არტლეგიონი.

1902 წ. დაბ. წითელ-არმიელების უვადო შვებულებაში გაშვების შემდეგ საარტილერიო ლეგიონის შემადგენლობა შეუდგა ახალწვეულების მიღების სამზადისს. სრულიად გადასხვაფერდა ლეგიონი. დარჩენილი წითელ-არმიელები მეთაურთა და პოლიტშემადგენლობასთან ერთად ყოველგვარ ზომებს ღებულობენ იმისთვის, რომ სადღესასწაულო ხასიათი ექნეს ლეგიონს ახალი ცვლის მოსვლისას. ხელახლა ეწყობა ლენინის კუთხეები—შესაფერი შინაარსის ლიტერატურით, ლოზუნგებით და პლაკატებით. ლენინის კუთხე ნაწილის ყოფა-ცხოვრებისა და აღზრდის და განვითარების ცენტრია. კარგათ არის გაგებული ნაწილში კუთხის ეს მნიშვნელობა და ისიც თუ როგორი როლის თამაში შეუძლია მას ახლად მოსულებში და სწორედ ამიტომ ექცევა მას მთელი ყურადღება.

ვიძენთ სხვა და სხვა ბროშურებს, ჟურნალებს და სხვას, რომელთაც შეუძლიათ წითელ ყაზარმაში ახლად ფეხშამოდგმულის დაინტერესება და საერთო მუშაობის ფერხულში ჩაბმა.

ტ. მამალაძე.

## მუშაობა ისევ გაჩაღდა.

ცხ. ნ. ლეგიონი

ბანაკიდან ჩამოსვლისას პირველ ხანებში ლეგიონში შესწყდა სკოლის გარეშე მუშაობა, რადგან პირველ რიგში მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ლეგიონის საერთო მოწყობას. საგრძნობლად დაიგვიანა აგრეთვე კედლის გაზეთების გამოშვებამ ესკადრონებში, მაგრამ უკანასკნელად ესეც გამოსწორებული იქნა.

საკლუბო მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ხშირად იდგმება კინო სურათები. იმართება წარმოდგენები, საუბრები და სხვა. ეწყობიან კერძო მოქ ლიქნიც.

ახალი წვეულების მოსვლისთვის კიდევ უფრო გაცხოველებით ემზადება კლუბი. ეწყობა სათანადო პლაკატებით, ლოზუნგებით; დრამატიული წრე კი ამზადებს შესაფერი შინაარსის პიესებს.

ნაწილში დარჩენილი ძველი წითელ არმიელებიც სათანადოთ ემზადებიან ამ მხრივ, მათთან ხშირად იმართება საუბრები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდენ ახლად მოსულებს, როგორ გააცნონ ყაზარმული ცხოვრების და სამხედრო დისციპლინის თავისებურება და მრავალი სხვა.

ასე ვემზადებით ახალგაზრდობის შესახვედრად.

ა. ნ---შვილი.

## გავაცილეთ შვებულები.

ქართ. მეთ. გაერთიანებული სკოლა.

ამ რამოდენიმე დღის წინად სკოლაში გაიმართა შვებულებაში მიმავალ სკოლის წითელ-არმიელების პატივსაცემათ საზეიმო სხდომა, რომელსაც სკოლის მთელი შემადგენლობა დაესწრო.

სხდომა გახსნა სკოლის კომისარმა ამხ. დევდარიანმა და მიმართა შვებულებაში მიმავალთ ვრცელი სიტყვით, რომელშიაც მიუთითათ სოფლად მათი მოვალეობის შესახებ და იმაზე თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ მუშაობისათვის, თუ ისინი არ გასწყვეტენ კავშირს სკოლასთან. შემდეგი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სამწყობრო და უმწყობრო ნაწილების მეთაურები და სკოლის კურსანტები.

დაბოლოს თვით შვებულებაში მიმავალები გამოვიდენ საპასუხო სიტყვებით. მათ მადლობა გადაუხადის სკოლას და მეთაურებს იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც ისინი იჩენდენ მათ მიმართ. ამხანაგებმა ერთხმად დასდვეს ფიცი, რომ ისე მოიქცევიან, როგორც ავალებენ მათი აღმზრდელები: გაავრცელებენ თავის ცოდნას, გამოცდილებას სოფლად და მთელი თავისი არსებით იმუშავებენ მოსახლეობის გასამხედროებისათვის; საჭიროების დროს კი მზად იქნებიან პირველი მოწოდებისთანავე დაუბრუნდენ თავის რიგებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ მუშურ-გლეხური ქვეყნისა და ხელისუფლების დასაცავად.

ამის შემდეგ გაიმართა საზეიმო წარმოდგენა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. მეორე დღეს კი უკანასკნელად დაგვემშვიდობენ ამხანაგები და გაემართენ თავიანთი სოფლებისაკენ.

გ. ზვიადაძე.

### ბნელში ვიმყოფებით

მე-6 ლეგიონი

ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ საზამთრო ყაზარმაში დატოვებული იქნა წითელ არმიელების ერთი ნაწილი. მას შემდეგ რაც ლეგიონმა დაგვტოვა შეგვიწყვიტეს სინათლე. მთავარი ის არის, რომ აღარც საყარაულო შენობა გვინათლდება, რაც ხელს გვიშლის სამსახურის წესიერად შესრულებაში. საჭიროა შესაფერ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას ვისიც ჯერ არს და მოაგვარებდეს განათების საქმეს.

—კ.

### საჭიროა შესაფერი ბინის გამოძებნა

მესამე ლეგიონის წით.-არმიელებს ხშირად სჭირდებათ ფეხსაცმელების შეკეთება. ნაწილში გვყავს ორი ხელოსანი, მაგრამ აქამდე ვერ გამოუძებნიათ მათთვის ბინა, რომ შეასრულონ თავის მოვალეობა წითელ-არმიელების ფეხსაცმელები კი არ კეთდება ამის გამო და უდროოდ ოხრდება. დროა აღმოუჩინონ ამხანაგებს ერთი პაწია ოთახი, რომ შეეძლოთ მუშაობა და ტყვილა არ გაოხრდეს სახალხო ქონება.

ჩ ქ—კელი.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲔᲡ.

ცხენოსან ლეგიონის წითელარმიელებს ეს ერთი ხანია, რაც აბანოში არა გვგზავნიან თავის დროზე და მაშასადამე არც საცვლები გვეძლევა. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას ლეგიონის ექიმი, ამასთანავე საჭიროა თვალყური ადევნოს სამზარეულოში სისუფთავის დაცვას, თორემ რაღაც ამ ბოლო ხანებში უსუფთაობამ იმატა იქ.

ქურხული.

### ᲒᲐᲒᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘᲗ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ.

ერთხანს ცხენოსან ლეგიონში სამხედრო მომხმარებელ საზ-ბის „ბოეცს“ ჰქონდა გახსნილი დუქანი და დიდ სამსახურს გვიწევდა. ამ უკანასკნელად არ ვიცი რის გამო ეს განყოფილება მიაკეტეს. წითელ არმიელებს კერძო ვაჭრებთან უხდებათ აუცილებელ მოთხოვნილების საგნების შეძენა და ტყავი გვძვრება. კარგი იქნება გვიხსნიდეს „ბოეცის“ გამგეობა ისეთი მდგომარეობიდან.

გლეხისშვილი.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

## „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ“

### ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲖᲔ.

ამჟამად იტალიელებმა სრულიად უარყვეს „დიდი მანევრების“ მოწყობის პრაქტიკა, სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის შესახებ. იტალიის სამხედრო წრეები უფრო პრაქტიკულად და სასარგებლოდ სთვლიან ამჟამად ათასეულების და ლეგიონების ტაქტიკურად და ტეხნიკის პრაქტიკულად გაუმჯობესების საქმეს, მცირე რაიონის რადიუსით. საველე მმართველობას იტალიელების აზრით იმდენად აქვს აზრი და მნიშვნელობა, რამდენადაც უახლოვდებიან ისინი ნამდვილ საბრძოლო გარემოებას.

უახლოესი ფორმატის არმიები და კორპუსები ტიპიური სტრატეგიული გაერთიანებანი არიან, ხოლო მშვიდობიან დროის მანევრების სტრატეგია ოდნავ თუ გავს ომიანობის დროის სტრატეგიას.

ცხადია, რაც უფრო ვითარდება ბრძოლის წასამგვანებელი გეგმა, მით უფრო სუსტდება კავშირი სინამდვილესთან. მაგალითად, თუ განსაზღვრულ ტერიტორიის შიგნით, შესაძლებელია სინამდვილის მზგავსი აუარება ფაქტორების დაგროვება, მაშინ უფრო ვრცელ რაიონში, სადაც მოქმედებენ კორპუსები, და მით უფრო სტრატეგიული კომბინაციების უდიდეს სივრცეზე, შეუძლებელია ნამდვილი საბრძოლო მდგომარეობის შექმნა. მართლაც, საკმარისია იმ მნიშვნელობის მოგონება, რომელიც აქვს ბრძოლაში საიდუმლო მოქმედებას და საბრძოლო ძალთა გადაჯგუფებას, ანაზდეულობის მისაღწევად, და აგრეთვე ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს კარგად დაყენებულ ძიებას;

ვინც შესძლებს თავის დროზე მოწინააღმდეგის გადაჯგუფებასა და ძალების რაოდენობის გაგებას, ის უზრუნველყოფილია გამარჯვებით.

მშვიდობიან დროის „ომის“ დროს, რადგან შეუძლებელია უზარმაზარ ტერიტორიაზე მოსახლეობის ურთიერთ შორის მიმოსვლის შეწყვეტა, ამიტომ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ დარაზმული ძალების საიდუმლოება არ ინახება. თითეულმა მხარემ ყველაფერი იცის „მოწინააღმდეგის“ შესახებ, რაც მისთვის საჭიროა. ძიების სამსახური შეიძლება კომედიად გადიქცეს და ზიანი მოუტანოს საქმეს, თუ იმასაც არ მივიღებთ მხედველობაში, რომ დიდი ზარალი მოაქვს მას სახელმწიფო სალაროსათვის.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

### „ᲡᲐᲐᲗᲘ—ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲘ“

ამას წინად ბერლინში გამართულ გამოფენაზე ერთ ერთ გამომგონებელმა—არიუსიმ წარმოადგინა მეტად საინტერესო იარაღი თავდასხმისაგან თავის დასაცავად.

ერთი შეხედვით ეს იარაღი ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ მაჯის საათს. საათიდან კოსტიუმის სახელურში და შემდეგ ქვევით გადის ფარულად ზონარი და უერთდება ჯიბეში მოთავსებულ ელექტრო ბატარეიას.

ბატარეია აწვდის საათს ჩქერს, რომლის ძინვა, ინდუქციის კოჭის მეოხებით იზრდება 10.000 ვოლტამდე.

თავდასხმის შემთხვევის დროს საკმარისია თავდამსხმელი შეეხოს „საათს“, რომ ელექტროული დაკვრით წამსვე გაიშხლართოს ის მიწაზე.

მაგრამ ელექტრონის ასეთი მოქმედება არ არის ხანგრძლივი და საშიში არ არის ჯანმრთელობისათვის, რადგან ელჩქერის ძალა, რომელსაც ბატარეია იძლევა ძლიერ უმნიშვნელოა.

ყველაფერი ეს თავდაცვის საუკეთესო საშვალებად ხდის ამ გამოგონებას, მით უმეტეს, რომ სულ ღირს ის 15 მარკამდე (7 მანეთამდე) და მაშასადამე გაცილებით უფრო იაფია, ვინემ რევოლვერი.

### ᲙᲔᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲔᲑᲐ

კეთრი აქამდე უკურნებელ სენათ ითვლებოდა. შეიძლებოდა მისი წამლობა და ავადმყოფობის უფრო შემსუბუქება, მაგრამ სავსებით მორჩენა კი არა. მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინად იტალიელ პროფესორმა მატტამ, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში სწავლობდა ამ ავადმყოფობას ახალშენებში, აღმოაჩინა, რომ კეთრის წინააღმდეგ საუკეთესოდ მოქმედებს—ბისმუტი. ბისმუტით წამლობა კეთრის წინააღმდეგ იმავე წესით სწარმოებს, როგორც სიფილისის წინააღმდეგ, ბისმუტის შეშხაპუნებით კან ქვეშ ერთხელ ყოველ სამდღეში. საგრძნობი გაუმჯობესება ხდება ავადმყოფში 7 ჯერ შეშხაპუნების შემდეგ.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

— ჩ—ძეს. თქვენ, როგორც სამწყობრო ნაწილის უფროსი, გაქვთ სამხედრო აკადემიაში შესვლის უფლება, თუ ამ თანამდებობაზე ხართ არა ნაკლებ ორი წლისა (ბრ. № 500—25 წ.)

— ყოჩიაშვილს. თქვენი ძმა მოხვდება ცვალებად შემადგენლობაში, რისთვისაც მან თავის დროზე უნდა წარუდგინოს მიმღებ კომისიას საჭირო საბუთები.

— ჩიხლაძეს. უნდა მოხდეს კვლევა-ძიება და თუ დამტკიცდა რომ მაზარა თქვენი მიზეზით არ დაკარგულა, მაშინ მოგეცემათ სხვა.

— აზიკუროვს. თქვენი ოჯახი გადასახადის სამ მეოთხედს იხდის.

— მ. ტ. როგორც საშუალო სასწავლებელ დამთავრებული თქვენზე არ ვრცელდება შეღავათები.

— გურულს. ეს საექიმო კომისიის საქმეა, გეკუთვნით თუ არა ჯარში სამსახური ავადმყოფობის გამო, რომელსაც უნდა მიმართოდ.

— შიუკაშვილს. თქვენ „მაჩი“-დან უნდა გამოიტანოთ მოწმობა, რომ დაბადებული ხართ 1897 წ. თუ ასეთი იქ არ არის, მაშინ სასამართლოში მოწმეების ჩვენებით უნდა დაამტკიცოთ თქვენი დაბადების წელი და გაგანთავისუფლებენ.

— ჩიტიანს. ტერნაწილების ძირედი შემადგენლობა გრძელვადიან შვებულებაში წავლენ 15 ოქტომბრიდან.

— კ-ოვს. საშუალო უფშემადგენლობას წელიწადში ერგება შვებულება 30 დღიდან 45 დღემდი (ბრ. № 925—25 წ.)

— ელაგანაშვილს. სახელმწიფო ტყიდან მასალა უნდა მოგეცეთ 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში (ბრ. № 1520).

— სარიას. გაქვთ უფლება სახალხო სასამართლოს განაჩ[ენი] გაასაჩივროთ საოლქო სასამართლოში.

— გ—შვილს. მიწის ნორმის განაწილება მჭამელთა რიცხვ[ზეა] დამოკიდებული. თქვენ თუ განაწილებით უკმაყოფილო ხართ, [შე]გიძლიათ მიმართოდ სამაზრო მიწის კომისიას.

— ტა—ძეს. თქვენი დედა 38 წლისა ყოფილა და ამიტ[ომ] თქვენ ოჯახური შეღავათი არ გეკუთვნით. დედა თქვენი შრომ[ის]უნარიანათ ითვლება.

— მა—ლიას. თუთხმეტი დღის ჯამაგირი გერგებათ.

— გვ—იანს. ჯარში გაწვევის ერთი თვის შემდეგ მოხსნი[ლი] ხართ დამზღვევ სალაროდან.

— ტურიაშვილს. მოკლე ვადიანი შვებულება არ მოგეცემა[თ] თქვენ მიერ წამოყენებულ მიზეზების გამო.

— არაქელას. ურთიერთი დამხმარე სალაროში წ. არმიელ[ებ]საც შეუძლიათ წევრად ჩაწერა.

— ო—შვილს. საოჯახო ულუფა არ გეკუთვნით.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

შუქს. თქვენი წერილები ნაწილის ორი წლის თავის შესახებ, თავ[ის] დროზე გადმოუგზავნილობის გამო არ გადის.

ვაშაკიძეს. თქვენი წერილი „შვებულ წითელ არმიელებისადმი“ დ[ა] გვიანებით მივიღეთ. არ გადის.

საქორიელს. კორესპონდენცია წყლის შესახებ გამოდგება ადგილ[ო]ბრივ კედლის გაზეთისათვის.

იმერლიშვილს. კორესპონდენცია ფეხბურთში შეჯიბრის შესახებ გამ[ო]უსადეგარია. საჭირო იყო აღგენიშნათ შეჯიბრის შედეგებ[ი].

მაძიებელს. მეორე ლეგიონში წარმოებულ საზამთრო სამზადის[ის] შესახებ იყო ჩვენს გაზეთში ვრცელი წერილი. მეორედ აღა[რ] დაიბეჭდება.

გრ. კულულაშვილს. თქვენი ლექსი—„გამომშვიდობება“ სუსტია. ა[რ] გადის.

ბურდილაძეს. არც თქვენი წერილი გადის, საზამთრო სამზადის[ის] შესახებ. ასეთი იყო თქვენი ნაწილიდან.

თავქას და მომავალს. საკუთარი სასადილოს და ნოქარის შესახებ თქვე[ნ]ნი კორესპონდენციები კარგი იქნება ადგილობრივი კედლ[ის] გაზეთისათვის.

ოგანოვს. კინო სურათების შესახბ გამოუსადეგარია.

აზიკუროვს, ბიკაშვილს, იმერლიშვილს და მენიძეს. თქვენი წერ[ი]ლები შვებულთა შესახებ, არ გადის დაგვიანებით მიღებ[ის] გამო.

როყუას და ქალიაშვილს. ამ შინაარსის კორესპონდენციები თქვე[ნი] ნაწილებიდან უკვე იყო. არ გადის.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4 ქართ. მსრ. ლეგ. მე-13 კომუჯრედში შემოტანილ[ი] აქვს განცხადება წ. არმიელ ჭკადუა ამბაკო ილარიონისძეს (სოხ[უ]მის მაზრა, მერხეულის თემის სოფ. მერხეული. კ. კ. წევრი 192[.] წლიდან) თხოულობს პარტიის კანდიდატად გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვს, გთხოვთ გვაცნობო[თ] ერთი კვირის განმავლობაში.

---

მე-4 ქართული მსროლელი ლეგიონის 1-ლი ტყვიამფრქვე[ვის] ასეულის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარ[ტიის] კანდიდატს - წ. არმიელ ამხ. ნანეიშვილი ალექსანდრე რომ[ა]ნოზის ძეს, (გლეხი, ქუთაისის მაზ. სოფ. გეგუთის მცხოვრები) თხო[]ულობს პარტიის წევრად გადარიცხვას. თუ ვინმეს გაქვთ რაიმე სა[]წინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ზემოდ აღნიშნულ უჯრედში.

---

მე-4 ქ. მ. ლ. 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხად[ე]ბა კომპარტიის კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიცხვის შეს[ა]ხებ 1-ლ ათასეულის პოლიტხელს გაბუნია დავითს, (ქუთაისის მაზ. სოფ. ამაღლება კ. პ. კანდიდატი 1925 წ.)

თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო მის შესახებ გთხოვ[თ] გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

---

მე-5 ლეგიონის მე-8 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხა[დე]ბა კომპარტიის კანდიდატს ამხ. ილია შავარდენიძეს მშვიდობი[]ს (ოზურგეთის მაზ. ლანჩხუთის თემის მცხოვრები.) კოსტა ბიბილე[]შვილს ა. ლ. კ. კ-ს წევრს, კომპარტიის კანდიდატად გადარიცხვ[ა]ზე და უპარტიო ამხ. სევერიან ალექსანდრესძე გიორგაძეს (ოზურ[გეთის] მაზრის, ერთკეთის თემის მცხოვრები).

ვინც რაიმე უარყოფითი იცით აღნიშნულ ამხანაგების შეს[ა]ხებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

---

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 1-ლ კომუჯრედში შემო[]ტანილი ქავთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდ[ეგ] ამხანაგებს: 1. ყაჭეიშვილი გალაქტიონ არტიმონისძეს, (კომკავშირი[ს] წევრი. ოზურგეთის მაზრის, სოფ. ამაღლების მცხოვრები). 2. ბიღ[ვა]ხიძე ევტიხი ამბაკოსძეს (კომკავშირის წევრი. ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათის მცხოვრები), 3. ბაბელეიშვილი ქრისტეფორ თე[]მურაზისძეს (კომკავშირის წევრი. ქ. ქუთაისის მცხოვრები), 4. ზე[]ადაძე გიორგი ბიკენტისძეს (კომკავშირის წევრი. ქ. ქუთაისის მცხო[]ვრები), 5. სანაკოევი აბესალომ დავითისძეს (კომკავშირის წევრ[ი] სიღნაღის მაზრის, სოფელ ალექსეევკას მოხოვრები).

კომუჯრედი სთხოვს ყველას, თუ ვინმეს რაიმე უარყოფით[ი] ცნობები მოეპოება აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ გვაცნობოთ ათ[ი] დღის განმავლობაში.

---

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** საქ. გზატკეცილების სამმართველოდ[ან] გაცემული საანგარიშო წიგნაკი ნიკო[]ლოზ ივანეს ძე ჭეიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** მე-5 ლეგიონიდან გაცემული სამსახურ[ის] წიგნაკი № 876, მეორე ასეულის წ[ი]თელ არმიელ ნიკო არსენის ძე კაციტაძის სახელზე. ჩაითვალოს გა[]უქმებულად.

# ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲥᲘᲛᲘᲘᲓᲐᲜ.

### ᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

**სპირტი, სკიპიდარი და ქაღალდი—ყველაფერი ეს კეთდება ხისაგან. საკმაოდ მზადდება აგრეთვე ფისგენი და იპრიტიც.**

როდესაც თქვენ ზიხართ მაგიდასთან და სადილობთ, თქვენ ფიქრადაც არ მოგდით, რომ ეს მაგიდა სხვა რამისთვისაც არის გამოსადეგი. იმ ხისაგან, რომელიც გამოყენებული იქნა თქვენი მაგიდის გასაკეთებლად აუარება სასარგებლო რამის დამზადება შეიძლება.

თუ ჩავაგდებთ რომელიმე ჭურჭელში ფოთლოვანი ხის ნაჭერს, კარგად დაუცვამთ თავს და გავახურებთ მას, მივიღებთ: მეთილის სპირტს, ე. წ. აცეტონს და ძმრის სიმჟავეს.

მეთილის ანუ, როგორც მას უწოდებენ—ხის სპირტი იხმარება სხვს და სხვა საფერავების წამლების და მომწამლავი ნივთიერებათა დასამზადებლად.

ძმრის სიმჟავე ყველასათვის ცნობილია, რადგან ის იხმარება სამზარეულოსათვის. ამას გარდა მისი საშვალებით ამზადებენ სხვა და სხვა ხელოვნურ ესენციებს.

ძმრის სიმჟავიდან ამზადებენ აგრეთვე მეტად ძვირფას საღებავს-ლურჯსა და მწვანეს.

აცეტონი—ეხლა საშვალება უკვამლო დენთის (თოფის წამლის) დასამზადებლად, მომწამლავი ნივთიერებათა და ლაქის დასამზადებლად. ხმარობენ მას აგრეთვე ცელოლოიდის დასამზადებლად, რომლიდანაც შემდეგ აკეთებენ კინოსათვის საჭირო ლენტებს, სავარცხლებს და მრავალ სხვა საგნებს.

ხის გადამუშავების შემდეგ დარჩენილი ნახშირი იხმარება აირმსპობებისათვის. რბილი ფოთლოვანი ხის ჯიშების ნახშირს კი ურევენ შავ დენთს.

ფოთლოვანი ხის ნახშირი იხმარება ნახშირგანის ორგანის მისაღებათ, რომელიც თავის მხრივ იხმარება მეტად ძლიერი შხამიანი ნივთიერების—ფოზგენის დასამზადებლად.

თუ ასეთივე წესით გადავამუშავებთ წიწვიანი ჯიშის ხის მერქანს, მივიღებთ სკიპიდარს, ფისს და ნახშირს.

ამ ჯიშების გადამუშავებამდე, თვით ხის ღეროებზე ამოჰკრიან მერქანს და შემდეგ აქედან მთელი წლების განმავლობაში აგროვებენ მერქანის წვენს, რომელიც იძლევა კანიფოლს. ეს უკანასკნელი კი იხმარება საპონის, ლაქის და სხვათა დასამზადებლად.

სკიპიდარი იხმარება ცხვრის მატყლის გასაწმენდათ, ლაქის დასამზადებლად, ჰაერის გასაწმენდათ და სხვა.

ფისი იხმარება გემთმშენებლობაში. ფისის გადამუშავების შემდეგ ღებულობენ: სკიპიდარს, ძმრის სიმჟავეს, მსუბუქ და წასასვებ ზეთებს და პარაფინს.

წიწვიანი ხის ჯიშების კვარტებისაგან ღებულობენ ეფირის ზეთს, რომელიც იხმარება პარფიუმერიაში, საპნის დამზადების დროს და მედიცინაში.

ვის არ დაუნახავს ხის სახერხი ქარხნებთან ნახერხის მთელი გროვა. ამ ნახერხს ხშირად ტყვილად ყრიან და ლპება, იმ დროს, როდესაც მისგან შესაძლებელია ხის ზეთი, რომელიც იხმარება უბრალო ქაღალდისა და კარდონის დასამზადებლად. მაგრამ თუ ამ ზეთს გადავამუშავებთ ქიმიურად მივიღებთ ცელულიოზას. ეს უკანასკნელი კი საჭიროა საუკეთესო ხარისხის ქაღალდის დასამზადებლად.

თუ ამ ნახერხს გადავამუშავებთ ქიმიური წესით (კოგირდის სიმჟავით) მისგან მიიღება ეთილის სპირტი ანუ ღვინის სპირტი.

ეთილის სპირტს ხმარობენ აგრეთვე ეთელენის მისაღებათ, რომლისაგანაც შეუძლებელია იპრიტის დამზადება.

აი რამდენი აუცილებელი რამის დამზადება შეიძლება უბრალო ხისაგან.

ქიმიკოსი.